ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №418500

ნომერი: AR187509

თარიღი : 23.10.2012

გაცემის თარიღი : 07.11.2012

გაცნობის თარიღი : 19.11.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , შ.პ.ს. ,,ოკრიბა"-ს ავტოფარეხების მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , მიმდებარედ , ნაკვეთი 08/104 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახი ნოზაძე პ/ნ 202208333
- ბელიაშვილის 5ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 20.04.2010 წ. #538 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 10/23/2012 წ. AR187509 განცხადებით მომართა შპს „მუხამბაზი“-ს დირექტორმა კახი ნოზაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის მიერ 20.04.10 წ. დამტკიცებულ #538 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ახალი საკადასტრო ერთეულის დამატება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, „ოკრიბა“-ს ავტოფარეხების მიმდებარედ, #01.13.02.008.072 (ფართობი: 166 კვ.მ.) #01.13.02.008.075 (ფართობი: 561 კვ.მ.) და #01.13.02.008.065 (ფართობი: 309 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულებზე საზოგადოებრივი კვების ობიექტის ასაშენებლად დამტკიცდა #538 (20.04.2010) სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ჯამში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენდა – 1036 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონა ზემოაღნიშნული აქტის თანახმად, განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა –2.

დღეისათვის სამსახურში წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: 01.13.02.008.111, რეგისტრაციის #882012061230, თარიღი:20.02.12, ფართობი: 1104 კვ.მ), რომლის თანახმადაც, საპროექტო საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად შეიცვალა მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი და კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 20.04.2010 წ. #538 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ:
ა) დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან(საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #882012061230, მომზადების თარიღი: 20.02.2012; ამონაწერის რეგისტრაციის #882012189691, მომზადების თარიღი: 03.05.2012; საკადასტრო კოდი: 01.13.02. 008.111, ფართობი: 1104 კვ.მ.);
ბ) დაემატოს შენიშვნა: „გათვალისწინებული ან ამოღებული იქნეს საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული ვალდებულება (საჯარო რეესტრის ამონაწერის რეგისტრაციის #882012189691, რეგისტრაციის თარიღი: 03.05.2012წ. საკადასტრო კოდი #01.13.02.008.111) 77კვ.მ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ შეზღუდვასთან დაკავშირებით;

2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 20.04.2010 წ. #538 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართი მიეთითოს 1104 კვ.მ, საკადასტრო კოდი: 01.13.02.008.111;

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 20.04.2010 წ. #538 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.